შაბათი, ივნისს 7 1919 წ. ფასი 1 მანეთი. № 104.

წლიწადი მეხა...

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კანტორა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 20 მან. 3 თვით 50 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე. 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **ხამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 30 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენი ქვეყანა“-ს რედაქციის კანტორასთან დაარსდა გაზეთის ფონდი. მოქალაქენო გაიღეთ შემოწირულებანი; გაზეთის გამოცემის საქმე მკითხველთა თანაგრძნობაზეა დამოკიდებული.

ისიდორე გრიგოლის ძე კვიცარიძე და მეუღლე მისი ნიფადორა გაიოზის ასული აუწყებენ ნათესავთა და ამხანაგ-მეგობრებს, რომ კვირას, 8 ივნისს დანიშნულია საფიჩხიის ეკლესიაზე დილის 10 საათზე ორმოცის წირვა და პანაშვიდი მეორის დისწულის სტუდენტ

ანტოშა ილარიონის ძე ხაზარაძისა.

2—1

გულდამწვარი მშობლები: სოფიო და სამსონ ბოკერია, ძმები: მიშა და ალიოშა ბოკერიები აუწყებენ ნათესავდ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ **კვირას 8 ივნისს,** დილის 10 ს. საფიჩხიის სასაფლაოზე იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილი, ქუთ. რეალურ სასწავლებლის მე 3 კლ. მოსწავლის

გიორგი (დუტუ) სამსონის ძე ბოკერიას

სულის მოსახსენებლათ. 1—1

გულდათუთქულნი და თავზარდაცემულნი მშობლები: დედა ოლინკა, მამა კოტე ვასილის ძე, დები: ქეთო, თინა და ელენე ქუთათელაძეები, ბებია სალომე და ბაბუა—გიორგი მგალობლიშვილები, დედის დები საშა კანდელაკისა, ნინა ბოკერიისა და ნადია მგალობლიშვილი. ბიძები: დავით და ვასილ ვასილის ძენი ქუთათელაძეები; ბიძა აკაკი და ბიცოლი ბარბალე მგალობლიშვილისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ რომ კვირას 8 ივნისს (ახალი სტილით) 10 საათზე დილით პეტრე-პავლეს ეკლესიაზე გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი ქართული გიმნაზიის მეორე კლასის მოსწავლის

დავით კოტეს ძის ქუთათელაძის

სულის მოსახსენებლად. 1—1

კვირას 8 ივნის (ახალი სტილით) დილის 10 საათზე მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი სომხებთან ბრძოლის დროს გმირულათ მოკლულ

რუბენ ბაგრატის ძე პაპუაშვილის,

რასაც ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ჭირისუფალნი მისი. 2—1

შაბათს 7 ივნისს, ქუთ. წმ. ნინოს სასწავ.-ლში საღამოს 7 საათზე დანიშნულია

კ რ ე ბ ა

ქუთაისის ღარიბ ბავშვებზე მზრუნველ საზოგადოების, ყოფილი წევრებისა. თავმჯდომარის მოადგილე უმორჩილესად გთხოვთ კრებას აუცილებლად დაესწროთ.

ექიმი მედიცინის საზღვარ გარეთელი უნივერსიტეტ. **ფ. ი. კაკიტელაშვილი** ღებულობს ავადმყოფებს ქალთა, საშარდის (ტრიპერი, სიფილისი. ექიმობა 606 და 914) და შინაგანთა. პუშკინის ქუჩა. საკუთარი სახლი პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ექიმი ბიქტორ ნიკიფორეს ძე ხუსკივაძე ღებულობს ავათმყოფებს დილით 9—2 საათამდე, საღამოს 4—7 საათამდე. ძველი თბილისის ქუჩა, ქორქაშვილის სახლი. 24—19

ქალის ექიმი ნ. ა. მხეიძე ღებულობს ავადმყოფებს დილით 9—3 საათამდე. ივანოვის ქუჩა, დუჩაიძის სახლი. 24—15

ძალის ავტორიტეტი.

საცოდავია ის ადამიანი, რომელიც უფლების სათავეს სოციალურ მორალში და პატიოსნებაში ეძებს.

როგორც ყველაფერი,—საზოგადოებრივი ცხოვრების სისტემაში მორალიც ძალდატანებითი ფსიქოლოგიური ინსტიტუტია.

უიარაღო და ისიც რევმატიზმიან მკლავებით ზნეობის წინაშე უფლების მოთხოვნა დამამცირებელი მათხოვრობაა.

ან გარედ გააგდებენ ასეთ მათხოვარს, უკეთეს შემთხვევაში კი ნამცეცებს გადაუყრიან.

ასეთია კერძო პიროვნების საზოგადოებრივი მდგომარეობა, მაგრამ როდესაც მთელი ერი მათხოვრობას ეწევა მაშინ სიცოცხლესა და ცხოვრებას ყოველგვარი აზრი ეკარგება.

ჩვენს პლანეტაზე ყოველივე საომრად არის გამზადებული.

რუსი და წითურ ჩინჩველას რასიული ომი და მათი მილიტარული ორგანიზაცია კოსმიურ პრობლემის სრული გათვალისწინებაა.

დღე მუდამ ხელში სადგისი და ცხვირზე ნემსი შეიძლება ადამიანს არ ჰქონდეს თავის დასაცავად, მაგრამ ისიც კია, რომ ჩვენი მკერდი არც ათი მცნების ტეზისების დაფაა.

ეს ანბანური ლოლიკა არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდეს ჩვენი ერის მესვეურებს.

არ იოკმის მარქსის მოწაფეები თითქოს თორმეტი მოციქულების კვერთხით ზომავდენ ქვეყანას, რადგან მარქსიზმის სოციოლოგია სოციალური ანტაგონიზმის ერთ-ერთი მხრის სადი შემეცნებაა, მაგრამ ამავე სოციოლოგიის თეორია და იდეალი ამ ქვეყნიურად ვაუგვარ მშვიდობიანობაზე მოგვითხრობს ერთობ ვრცელ ზღაპარს.

ამ ზღაპრის დემაგოგიური ხერხი იმდენად მავნებელია ჩვენი ქვეყნისათვის, რამდენადაც კარგი შენაძენია მარქსისტული სოციოლოგია მეცნიერებისათვის.

დღეს ჩვენი დელეგაციის შუამდგომლობას პიშონისა და ბერნის სოციალისტთა კონფერენციის წინაშე გვერდს უნდა უმშვენებდეს, და ლოგიურ ენერგიას აძლევდეს ჩვენი რესპუბლიკის ძალის ავტორიტეტი

ნამდვილად ეს ასე არ არის.

ინგლისელ გენერლების მიერ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევის რამოდენიმე სამარცხვინო ფაქტი სიმძიმეს უკარგავს ჩვენს საერთაშორისო წონას.

ანტანტისა და ამერიკის დიპლომატიური ლოზუნგები არასოდეს არ უნდა გვხიბლავდეს, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ვერსალის სასახლეში მრავალ სართულიან „საერთაშორისო ეთიკის“ სახელით ცხადლური ხავის ფაბრიკაციის მეტს ვერაფერს ვამჩნევთ.

ჩვენმა მთავრობამ ღამე მხოლოდ მტრის ძებნაში უნდა გაათენოს, და დღე მტრის დამარცხებაში დაალამოს.

განსაკუთრებით ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვისაა საჭირო ასეთი სიფხიზლე და მხოლოდ ამის შემდეგ „გვიცნობენ“.

ცარიელი და ათასჯერ დაბეჟილი სიტყვები.

„შავი რეაქციის“,

„ბნელი რეაქციის“

და „სისხლიან რეაქციის“ შესახებ მხოლოდ სმენას მოქანცავს, გულს გამოაღამებს.

არავინ არ იქნება ჩვენი პატივმცემელი, სანამ ჩვენ თვითონ არ შევქმნით საამისო პირობებს.

გვახსოვს ალბად ამას წინად რომ სომხებმა მემორანდუმი წარუდგინეს საზავო კონფერენციაზე.

ისიც გვემახსოვრება თუ, როგორი პრეტენზიები იყო მასში საქართველოს უდავო მიწა-წყალზე.

სპარსელებმაც გამოაცოდვილეს ასეთი მემორანდუმი და რამდენს ქართველ მკითხველს გაეცინებოდა, როდესაც ამოიკითხავდა გაზეთებში:

„თბილისი სპარსეთს უნდა დაუბრუნდესო“.

და ყველა ეს მემორანდუმები უფლების პრინციპიდან გამომდინარეობენ.

ყველაფერი ეს სასაცილოა, მაგრამ საქართველოსათვის მაინც დამაფიქრებელი.

ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენს საკუთარ სახელმწიფოში ისეთი პირობები და ჩვენს გარედ ისეთი ატმოსფერა, რომ ჩვენში პოლიტიკურ კომედიების თამაში სხვებისთვის უხერხული შეიქნეს.

ეს მოხდება მხოლოდ მაშინ როდესაც უფლების დაუშრეტელ წყაროდ, დაუშრეტელ ენერგიასა და ძალას მივიჩნევთ.

საერთო წვრილი ერთეულები.

ხვალ, 8 ივნისს, (ახალი სტილით) ქუთაისის მაზრაში წვრილი ერთეულების ხმოსანთა არჩევნები მოხდება.

მთელი მაზრა დაყოფილია 36 წვრილ ერთეულად—თემად და თვითეულ თემში არჩევნები დამოუკიდებელი იქნება.

დღემდის თუ სოფლის ბედი უმეტეს შემთხვევაში დანიშნულ არა სანდობ პირთა ხელში იყო და სოფლის ჭირვარამს არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ,—დღეიდან ყოველ საზოგადოებას ექნება საკუთარი თვითმართველობა ფართო საზოგადოების მიერ არჩეული, რომელმაც ყოველივე საქმეები რაც კი საზოგადოების ფარგლებში წამოიჭრება უნდა მოაგვაროს და უპატრონოს.

წვრილი ერთეულის თვითმართველობა იქნება მთელი საზოგადოების მზრუნველი როგორც ადმინისტრატიულ ისე ყოველგვარ საკითხებში. მაგრამ არის ერთი გარემოება.

არჩევნებში საკუთარი სიებით პოლიტიკური პარტიები გამოდიან.

როგორც ცნობილია სოფელი ინტელიგენტური ძალებით ღარიბია და ამ ძალების პარტიებად დაყოფა შეასუსტებს სოფლის თვითმართველობის შემადგენლობას, რაც საქმეს ზიანს მიაყენებს.

რომ ჩვენში პარტიათა განხეთქილება გამწვავებული არ იყოს, უმჯობესი იქნებოდა საჭირო კაცები, რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ერთ საერთო სიაში შეეტანათ და ამრიგად მარტივი არჩევნები მომხდარიყო.

ეს გარემოება თვით პარტიებსაც გაუადვილებდა საქმეს და აღარც სამაზრო ერობას მოუვიდოდა იმდენი ხარჯები ამ არჩევნებისათვის რომ გაიღო.

ჩვენი პარტია სამწუხაროდ ამ არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას ვერ ღებულობს.

ამის მიზეზები მრავალია, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ თვით არჩევნების ხელმძღვანელებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის და დგენილებით კანდიდატთა სიები უნდა წარდგენილ ყოფილიყო სათემო საარჩევნო კომისიებში. ადგილობრივ კომისიებს სიების ასლი უნდა გაეგზავნათ ცენტრალური კომისიისათვის, რომელიც შემდეგ დაბეჭდავდა ბიულეტენებად და არჩევნებისათვის ისევ ადგილობრივ კომისიებს გაუგზავნიდა. ჩვენც ამ ამედით პაუტიულ ორგანიზაციებს არ მოვსთხოვეთ ჩვენი პარტიის კანდიდატთა სიები.

სოფლებში როგორც ყოველთვის მართველობა პარტიამ კომისიები თავისი კაცებისაგან შეადგინა და ბოროტებაც მოხდა.

ჩვენ ვიცით ისეთი თემები სადაც ჩვენი პარტიის კანდიდატთა სიები ადრე იყო წარდგენილი, მაგრამ ცენტრალურ კომისიას პირი ამ სიებისა არ მოსვლია და ამ რიგად ჩვენ საშუალება მოგვესპო ყველა თემებში ჩვენი საკუთარი სიებით გამოვიდეთ.

ვერც სუსტი პარტიები როგორიც არის სოც. ფედერალისტთა და სოც. რევოლიუციონერთა პარტია, ვერ გამოდიან ყველა თემებში და ამ რიგად სოც. დემოკრატებს დარჩათ სოფელი.

სოც. დემოკრატიული პარტია მოიხმობს ყუთებთან გლეხობას და ყუთებში პირველ ნუმრებს ჩაყრევინებს.

როგორც ვსთქვით ჩვენ საკუთარი სიით მხოლოდ რამდენიმე თემში გამოვდივართ და საზოგადოებამ ამ თემებში მაინც უნდა გამოიჩინონ შეგნება და ხმა მისცენ მხოლოდ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის სიას №2 ს

სოციალისტები კიდევ ბევრ რამეს დაპირდება გლეხობას, მაგრამ საკმარისია გავიხსენოთ დამფუძნებელი კრების არჩევნები, როდესაც გლეხობას მართველი პარტიის პროპაგანდისტები და პრესაც ჰპირდებოდა კერძო საკუთრების ხელშეუხლებობას, თუ როგორ შეასრულეს მათ ეს დაპირება.

სოციალისტები მხოლოდ მაშვინ ექომაგებიან და ცამდის გაკეთებას ჰპირდებიან გლეხებს, როდესაც მათი ხმები სჭირდებათ.

ეს ერთხელ და სამუდამოთ უნდა შეიგნოს ჩვენმა სოფელმა,—კერძო მესაკუთრებმა და ერთი ხმაც არ უნდა გაიმეტონ სოციალისტური პარტიების და მათი კანდიდატებისათვის.

ასე უნდა მოიქცენ 8 ივნისს, როდესაც წვრილი ერთეულების არჩევნების დღეს საარჩევნო ყუთებთან წარსდგებიან.

ნელი.

პრესა.

გაზეთ „საქართველო“ სომხეთის მიერ არტაანში შესვლის შესახებ სწერს:—

ეს მოულოდნელი ცნობა უსათუოდ გააოცებდა და თავზარს დასცემდა საქართველოს რესპუბლიკის ყოველ ერთგულ მოქალაქეს.

იკითხავთ,—რა მოხდა ისეთი, რომ ჩვენი მთავრობის ბრძანებით ეს პროვინცია ჩვენმა ჯარმა უომრად დასტოვა. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ მყოფი ცნობები ამ კითხვაზე დამაკმაყოფილებელ პასუხს არ იძლევა. მთავრობაც საზოგადოების ნერვიულ მდგომარეობას უთუოდ ანგარიშს არ უწევს და მომხდარ ამბებზე საჭირო განმარტებას არ იძლევა.

რა თქმა უნდა, რა გარემოებაც არ უნდა უძღოდეს წინ ამ მოვლენას, ჩვენ დაჯერებული ვართ, რომ სომხებისაგან არტაანის ოლქის დაჭერას დროებითი ხასიათი ექნება ვინაიდან ქართველი ერი ვერ მოითმენს მისი კულტურის აკვანის ხანგრძლივად სხვის ხელში დარჩენას.

ჩვენ დროებითაც შეუწყნარებლად მიგვაჩნია ბატონობდეს ამ ადგილებში ისეთი ძალა, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრი ვერ შეეწიგდება მათ შორის არსებულ ანტაგონიზმის გამო. არტაანი, არდანუჯი და ართვინი ის ძაფია, რომელიც აერთებს სამუსლიმანო საქართველოს ქალაქ ბათუმთან და ყოველად შეუძლებელია, რომელიმე ამ პუნქტზე თუ გინდ დროებით დამკვიდრდეს ძალა, რომელიც გული თავის არსებით მიმართულია სამაჰმადიანოს საქართველოს განთავისუფლებასა და აღორძინების წინააღმდეგ.

თუ თავის დროზე ჩვენს მოძმეს საოთანადო მფარველობა ვერ გაუწიეთ და მათი მიწა წყალი ჩვენი სახელმწიფოებრივი ფორმულები ვერ შემოვხაზეთ, ამაში ბრალი უმთავრესად ჩვენი ერის მესვეურთ უძევთ, ჩვენ მთავრობას.

წარსულში იყო ისეთი პირობები, როდესაც ამ საკითხს სრულებით იოლად და უმტკივნეულოდ ჩვენდა სასარგებლოდ გადავჭრიდით, მაგრამ ჩვენი მთავრობა ყველასთან „კეთილ მეზობლობის“ პრინციპზე იდგა და თაკილობდა ეროვნული სხეულის შემოკრებას, დღეს ყველა ვხედავთ რომ ჩვენმა „მეზობელმა“ უდიერ სითამამით თავზე ფეხი დაგვადგა. და ლამის არის „ხათხოვარი კანაფი“ ყელზე მოგვიჭიროს.

ვამბობთ, არტაანის საკითხი არ არის მისაფუჩეჩებელი და მეორე ხარისხის საკითხი და მოვითხოვთ მთავრობისაგან სრულ განმარტებას მომხდარ ამბებზე.

ამასთანავე სამაჰმადიანო საქართველომ ეროვნული შეგნებით უნდა შეხვდეს მომხდარ მოვლენას და თავის სამართლიან ინტერესების ერთგულ დამცველად უნდა დადგეს.

უკანასკნელი ცნობები.

(**მოხალისეთა სამეფოში**)

კავკავში მდგომარეობა მეტად გართულდა. ქალაქში აუტანელი სიძვირეა. მოხალისეთა ჯარის სარდლობამ დიდი არევ დარევა შეიტანა ცხოვრებაში. მცხოვრებლები ძლიერ დაშინებული არიან რეკვიზიციით, რომელსაც ფართო ხასიათი მისცეს მოხალისეებმა. მოინდომეს მთიელების ძალით წაყვანა ბალშევიკების წინააღმდეგ.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ დაიშალა ჩერქეზთა ის ნაწილი, რომელიც ბალშევიკების წინააღმდეგ უნდა გამოეყვანათ.

ოსეთის პოლკი, რომელიც ჩრდილოკავკასიის ფრონტზე გაგზავნეს, დაიშალა, რადგანაც ჯარის კაცებმა არ მოინდომეს სად. დარგათ კოხის იქით გამგზავრება.

აჯანყება საჩაჩნეთში.

მოხალისეთა ჯარს დაპყრობილი აქვს მხოლოდ საჩეჩნეთის დაბლობი ადგილი, მთიან ადგილების მცხოვრებნი სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ მოხალისეებს. მთელ საჩეჩნეთში დაიწყო აჯანყება. დენიკინელების წინააღმდეგ ხასან-ურტის გარნიზონი დენიკინელებისა მთლად ამოსწყვიტეს ჩეჩნებმა. მოხალისეებმა პეტროვსკიდან არტილერია მიაშველეს თავიანთ ნაწილებს ინგუშეთშიაც დიდი აღელვებაა, დღე-დღეზე მოსალოდნელია აჯანყება.

მოხალისენი მთიელთა რესპუბლიკაში.

3 ივნისს ღამით პეტროვსკში მივიდა გენ. დრაცენკოს შტაბი. ქალაქში არის სულ 1,500 მოხალისე, დარუბანდში 400 კაცია. ადერბეიჯანის საზღვარზე იმყოფება შავი რაზმი მოზდოკიდან. პროფესიონალური საბჭოები მოსპობილია. გამოდის „რუსკაია მისლ“-ი, „ოსვაგა“-ს დეჰეშებით გამოცხადებულია აფიცრების და მოხელეების მობილიზაცია უკანასკნელი 7 წლისა (ნ).

ბალშევიკების აგიტაცია ოსმალეთში.

ოსმალეთიდან ჩამოსულები ამბობენ, თუ როგორი აგიტაცია სწარმოებს ბალშევიკებისა კონსტანტინეპოლში. სადგურებზე მორიგეობენ ბალშევიკების აგენტები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მომავალ რუს ტყვეებს. ვერ მოასწრებს გემი ნავთსადგურში შესვლას, რომ ჩნდებიან საეჭვო პირები, აძლევენ ტყვეებს ბილეთებს სასადილოებში და კანოებში უფასოთ შესვლისა. იქ კი მათ ხვდებიან ნამდვილი აგიტატორები და აკეთებენ თავის საქმეს. მათი პირველი მსხვერპლი გახდენ ლეგიონერები, რომლებიც საფრანგეთიდან ბრუნდებოდენ მოხალისეთა ჯარში. ადესის დაცემის შემდეგ ბალშევიკებმა გაავსეს კონსტანტინოპოლი.

ად.

მთავრობის ცნობები.

(31 მაისის სხდომა).

მთავრობამ დაადგინა:

საზღვარ-გარეთ გასაგზავნ სტუდენტთათვის.

საზღვარ-გარეთ გასაგზავნ სტუდენტთა სტიპენდიისათვის მთავრობამ დაადგინა ერთი მილიონი გადასდოს.

დასადასტურებლად ხსენებულ საგნის შესახებ კანონ-პროექტი, დამფუძნებელ კრებას გადაეცა.

სატრანსპორტო საზოგადოების კრებაზე დასასწრებლად.

სატრანსპორტო საზოგადოების 6 მაისის სხდომაზე დასასწრებლად მთავრობის მხრივ დაინიშნენ: ჭიჭინაძე, გვერდწითელი და ზუბალაშვილი.

ახალ-სენაკ-ზუგდიდის რკინის გზის შესახებ.

გზათა დეპარტამენტის დირექტორის მოხსენების თანახმად დაადგინეს: ლიანდაგის ახალ-სენაკიდან ზუგდიდამდე ამოღება და მოძრაობა დაიწყოს, ხოლო ახალ-სენაკ-ზუგდიდის ტანის გაყვანა-შეაობა დროებით შეჩერებულ იქმნეს.

აპაპი ჩხენკელის სიტყვა გერნის საერთ. შორისო სოციალისტურ კონფერენციაზე*)

ინტერნაციონალი ამდენ ხანს იცნობდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრთ (მენშევიკებს). და თუ ესლა ჩვენ გამოვდივართ როგორც საქართველოს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელნი, ეს მიტომ კი არა, რომ ჩვენ გვეღალატოს რუსეთის დიდი რევოლიუციისათვის, ან გამოგვეცვალოს ჩვენი რევოლიუციონური თვალსაზრისი, პირიქით, დავიფარეთ ჩვენს ქვეყანაში რევოლიუციონური პრინციპები და მისი მონაპოვარი; აზიისა და ევროპის საზღვარზე შევმქენით თავისუფალი სახელმწიფო. საჭირო არ არის სიტყვის გაგრძელება ჩვენი მდგომარეობის შესახებ, მე უკვე დავურიგე დეპუტატებს მემორანდუმი ჩვენი პარტიის სახელითა; მე ნებას მივცემ ჩემ თავს წავიკითხო იქიდან მხოლოდ რაოდენიმე სტრიქონი.

ჩვენში სუფევს სრული თავისუფლება ბეჭდის, კრების, კავშირების და გაფიცვის. ცხოვრებაში გატარებულია რვა საათის სამუშაო დღე. ოთხ წევროვანი საყოველთაო საარჩევნო უფლება ვრცელდება ორივე სქესზე, როგორც საერობო და თვითმართველობის არჩევნებში, აგრეთვე პარლამენტშიაც.

თქვენ იცით, რომ ყოველივე ეს უფლებანი მოსპობილია რუსეთში. მე თვითონ ვიყავი წევრი რუსეთის დამფუძნებელი კრებისა, რომელიც გარეკილ იქნა ბოლშევიკების მიერ.

აგრარული საკითხიც გადაჭრილია ჩვენში. მემამულეთა მიწები დაყოფილია გლეხთა შორის, უმცირესთა ეროვნული უფლებანი დაცულია.

ეს პოლიტიკური გამარჯვება არგუნა საქართველოს ორმა გარემოებამ:

1. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას თანაუგრძნობს მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა 2. ქართველი ერი დიდ ინტერესს იჩენდა მომენტისადმი და ჰქონდა იმაზე საღი წარმოდგენა. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, რომლის თავმჯდომარეც არის თქვენთვის ცნობილი ამხ. წერეთელი, ჰყავს დიდი უმრავლესობა პარლამენტში, რომლის თავმჯდომარე არის თქვენთვის აგრეთვე ცნობილი ამხ. ჩხეიძე. ჩვენი პარტიის დამაარსებელი ამხ. ჟორდანია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელშია მინისტრების მთავარი პორტფელები: შინაგან საქმეთა მინისტრის, გარეშე საქმეთა მინ., სამხედრო მინ., მიწათ-მოქმედებისა და შრომის მინისტ.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ჰყავს არა ნაკლები 70000 წევრისა, რომელნიც შესდგებიან ორგანიზაციულად შეკავშირებულ მუშებისა და გლეხებისაგან. პროფესიონალურ კავშირებსა და სხვებს კიდევ მეტი წევრი ყავთ. ეს მცირე ცნობები გაჩვენებთ თქვენ ჩვენი ცხოვრების პირობებს.

დღემდე ჩვენ არ გვიცნეს დიდმა სახელმწიფოებმა. ეს, ალბათ, მით აიხსნება, რომ ჩვენს მხარეში უმთავრეს როლს თამაშობენ სოციალისტები. არ უნდათ გვიცნონ ჩვენ, მიუხედავათ იმისა, რომ სრულიად დამოუკიდებელი ვართ. ის მხარე, რომლის მთავარი სახელმწიფოებრივი მოღვაწენი თქვენი ამხანაგები არიან უპირველესად, რასაკვირველია თავისი დამოუკიდებლობის აღიარებას

*) ეს კონფერენცია შესდგა რამოდენიმე თვის წინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ელის ინტერაციონალისაგან. ჩვენ ...არწმუნებული ვართ, რომ ეს მოხდება ...ღეს.*)

...ეს მორალური აღიარება ჩვენ...ის დიდმნიშვნელოვანია. მაშინ ჩვენ ...ორკეცებულ ენერგიით მო...ხოვთ პარიზის კონფერენციას ...ე ჩვენი დამოუკიდებლობის აღორძინებას.

...თქვენ იცით გაზეთებიდან, რომ დიდ ...ელმწიფოებს განზრახული აქვთ ოპე...ნები გაუჩინონ ახლად შექმნილ პატა...ა სახელმწიფოებს. მათ უნდათ შეგვ...ონ ეგრედ წოდებული მანდატარიები, ...ომლებიც უნდა გაბატონდენ ამ მხარე...ში. ჩემი პარტიისა და ქართველი მშრო...ელი ერის სახელით კატეგორიულ პრო...ტესტს ვაცხადებ ასეთ განზრახვის წინა...ღმდეგ. თუ ჩვენ შეგვწევდა ძალა გვებრ...ალა ცარიზმთან, ჩვენ შევებრძოლებით ...ერთვე მთელ მსოფლიოს, იმპერიალიზმს, ...ოლოდ საერთაშორისო სოციალისტურ ...ონფერენციაზე და საერთაშორისო პრო...�ტარიატის დახმარებით.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

✦ დენიკინის წინააღმდეგ. როგორც ...ბილისიდან იუწყებიან დონეცის მხარემ ...ერთო მობილიზაცია გამოაცხადა დენი...ნის წინააღმდეგ.

✦ ია ეკალაძე დირექტორი ჩ-ხატაუ...ის გიმნაზიისა, რომელმაც რევიზია ...ახდინა ჩოხატაურის რაიონის სახალ...ო სკოლებში, ქუთაისში ჩამოვიდა.

✦ 25 წელიწადი სამწერლო ასპარეზ...ე. ამ წლის სექტემბერში 25 წელიწა...ი შესრულდება რაც დამსახურებული ...ლეტრისტი ია ეკალაძე სამწერლო ას...პარეზზე გამოვიდა. ამის გამო მწერალთა ...ეშირს გადაწყვეტილი აქვს მას იუბილე ...ადაუხადოს.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრო ატ...ობინებს ქუთაისის სამაზრო ერობას, ...რომ ყველა სამაზრო ერობები მათ ხელ...ი გადადის. მაგ. სამაზრო ერობის ხელ...ი გადადის ნაქერალას გზა 17 ვერ. მან...ლზე და სენაკის-ორპირი-სამტრედიის ...ზა 6 ვერსის მანძილზე.

✦ საღამო-სეირნობა. დღეს ქვედა ...ფიხიის ეკლესიის გალავანში დავით ...ოდიაშვილის სახელობის სამკითხველოს ...ადგ. სოც.-ფედ. და სოც.-დემოკრატთა ...ეუბნო ორგანიზაციების სასარგებლოთ ...ართება დიდი საღამო-სეირნობა მრა...ელ გასართობებით

✦ მედიკამენტების მიღება. თფილი...ან ქუთაისის სამაზრო ერობას ატყობ...ინებენ რომ გაგზავნონ თფილისში მედი...ამენტების მისაღებათ წარმომადგენელი.

✦ უარის თქმა გზების შეკეთებაზე. ...ალტუპის საზოგადოების მცხოვრებლებმა ...ს ზაისის კრებაზე დადგენილებით უარი ...ნაცხადეს საეტლო გზების შეკეთებაზე, ...ომლის შეკეთება გადაწყვეტილი ქონდა ...უთაისის სამაზრო ერობას მათი დახმა...ებით.

✦ ქალაქ ფოთის კომისარი შინაგან ...ქმეთა ადმინისტრაციის ინსპექტორის ...ანაშემწეს ატყობინებს, რომ 21 მაისი...ან იქ არავითარი თვალ-საჩინო შემთხვე...ა არ მომხდარა.

✦ უცაბედი მკვლელობა. 3 ივნისს, ...ონის ხიდის დარაჯს პირველ ქვეითა ...ზმის ჯარის კაცს გალაქტიონ შანიძეს ...კაბედათ თოფი გაუვარდა, რომელიც ...ხვდა იქვე მდგომ მის ამხანაგს სამსონ ...ნდარიას და იქვე გარდაიცვალა. შანიძე ...იპყრეს და გადაეცა ქუთაისს შტაბ-დი...ზიის უფროს.

✦ ფოთი. ღამის 12 საათზე მოსე სვა...შვილმა 2 ივნისს სასიკვდილოთ დაჭრა ...ვოლვერით სისხლის სამართლის მილი...ციის აგენტი ედენტი სვანიშვილი შეი...პყრეს.

✦ ზვარდიელის დატუსაღება. შინა...გან საქმეთა ადმინისტრაციის ინსპექტო...რის თანაშემწემ ს. გეგელაშვილმა ქუთა...ისის გვარდიის შტაბის თხოვნით დააპა...ტიმრა ერთი, თვით გვარდიელი ვასილ ბერუჩაშვილი, რომელსაც ბრალდება ...სამსახურიდან გაპარვა.

✦ ქალაქის საბჭოს პირადი შემად...გენელობის კომისიის სხდომა. 5 ივნისს ...შესდგა ქალაქის საბჭოს პირადი შე...მადგენელობის კომისიის სხდომა. სხდო...მამ იქონია მსჯელობა ქალაქის მოსამსა...ხურეების შტატის გადასინჯვაზე, და ...დაადგინა შტატი მოსამსახურები ახლო...მომავალში გადასინჯულ იქნეს.

✦ ქალაქის მოურავის ამხანაგის ...თფილისიდან დაბრუნება. ქალაქის ...მოურავის ამხანაგი ს. რობაქიძე გუშინ ...5 ივნისს თფილისიდან დაბრუნდა და ...შეუდგა თავის მოვალეობის აღსრუ...ლებას.

✦ წარმოდგენა. დღეს ქალაქის თე...ატრში წარმოდგენილი იქნება ქართველ ...მსახიობთა მონაწილეობით ისტორიული ...პიესა მესხის „თამარ ბატონიშვილი", ...დრ. 5 მოქ.

✦ სანთლის ქარხანა. იმერეთის საე...პარქიო საბჭომ დაადგინა გელათის სან...თლის ქარხანა გადმოიტანოს ქუთაისში, ...რომელიც მოთავსებული იქნება მიტრო...პოლიტის კანცელარიის ქვედა სარ...თულში.

პარტიული ცხოვრება.

კონფერენცია. შაბათს 21 ივნისს ქ. ...თბილისში შესდგება საქართველოს ეროვ...ნულ დემოკრატიული პარტიის კონფე...რენცია. ყოველ 500 წევრზე უნდა გაგ...ზავნილ იქნეს თითო დელეგატი. სადაც ...ნაკლები წევრებია შეუძლიათ თითო დე...ლეგატი გაგზავნონ. კონფერენციის წეს...რიგი გამოცხადებული იქნება ჩვენი გა...ზეთის ხვალინდელ ნუმერში.

ახალგაზდათა კონფერენცია. ორშა...ბათს 16 ივნისს ქ. თბილისში შესდგება ...ჩვენი პარტიის ახალგაზდათა კონფერენ...ცია. განსახილველია უფროს ამხანაგთა ...კონფერენციის წეს-რიგი და ორგანიზა...ციული საკითხები. დელეგატები გაიგზავ...ნებიან: ქუთაისიდან — 6, თელავიდან — 2, ...გორიდან — 2, ზესტაფონიდან — 2, სამ...ტრედიის რაიონიდან — 2, სენაკიდან — 2, ...ფოთიდან — 2 და სხვა ადგილებიდან თი...თო დელეგატი

პატარა ფელეტონი.

გასაგრილებელი მანქანა.

მკითხველები გვისაყვედურებენ:

გაზეთი ადრე რად არ გამოდის, რომ დროზე მივიღოთ და ცხელი ამბები შე...ვიტყოთო!

ამბობენ:

ცხელი ყველაფერი კარგიაო.

მაგრამ რევოლიუციის სიცხემ, საქარ...თველოს რესპუბლიკას რომ მოსდებია და ყველაფერს ხრაკავს, — შაქარიც ისე გაადნო რომ მრავალ ტანჯული მოქალა...ქეთ ცხელი წყალიც ვეღარ დაულევიათ რუსები რომ ჩაის ეძახოდენ.

მე რომ მკითხოთ ცხელს ისევ გრილი მირჩევნია.

დამერწმუნეთ. ხვთის მშობლის წილ...ხთონილ ქვეყანაში ისეთი მადლიანი ვინ...მე აღმოჩნდებოდეს, რომელიც გასაგრი...ლებელ მანქანას გამოიგონებდეს, რომ ...ამ მანქანის საშუალებით სიცხის ბაცი...ლებს მოვსპობდეთ, — მრავალ ტანჯული ...მოქალაქენი ცხელ წყალს კი არა ცხელ ...ხაჭაპურსაც ეღირსებიან.

და ასეთ სანატრელ დროს გაზეთიც ...თავის დროზე გამოვა, რადგანაც ცხელი ...ხაჭაპურებით დანოყრებული თანამშრომ...ლები თავს მაგრად იგრძნობენ.

ეხლა ყველაფერი არეულია.

ბევრს თავში აქვს ავარდნილი რევო...ლიუციონური სიცხე, ბევრი სწუხს, რომ ...მთელი ქვეყანა სიცხის ბაცილებმა შეი...პყრო და მოსოციალისტო თავები ხმება, ...როგორც თიბათვეში ნათიბი.

არც რედაქციები იმყოფება ნორმალურ ...პირობებში.

„ხალხის მეგობარი" და „სოც. დემო...კრატი" ამ რევოლიუციონურმა სიცხემ ...იმსხვერპლა, რომელთაც უკვე სამოქა...ლაქო პანაშვიდი გადაუხადეს.

და სოციალ-დემოკრატების ოჯახებში...დაც არ არის ეხლა ისეთი არეულობა, ...როგორც ქართული გაზეთების რედაქ...ციებშია.

თანამშრომლები უკონორაროდ აღარ ...სწერენ.

კორესპოდენტები აღარაფერს გზავნი...ან და თუ რამე გამოგზავნეს იმასაც ლე...ქსათ იწერებიან, რომლითაც ქალაქები...დან მოგზავნებულ ცირა ქალებს სიყვა...რულს ეფიცებიან.

ამ ზაფხულზე უნდა ნახოთ თქვენ რე...დაქტორების წამება, როცა მოწაფე ქა...ლები სოფლებს მოედებიან და ფილოსო...ფიური სიყვარულის სიცხე პროვინციელ ...მგოსანთა ლექსებში გახმება.

რადიო ლეპეშები აღარ მოვდის.

ევროპიდან გამოგზავნილ ცნობებს ...დენიკინი ატყვევებს და ჩინეთ იაპონი...იდან — კიდევ კოლჩაკი.

ცნობების შემკრები ლოგთა გვარდი...აში ჩაეწერა.

კორექტორი აგარაკზე წასვლის მოლო...დინში გაიფიცა.

ასოთ ამწყობნი ყოველ დღიურად ...მხოლოდ მოთხოვნილებათა წარმოყენების ...შესახებ ბჭობენ.*)

მესტამბე გეგეჭკორის ფულს არ ღებუ...ლობს.

მეტრამბაჟი ისეთ წერილებს სადაც ...სოციალიზმის უარყოფაა, არ აწყობს.**)

მემანქანე 100 გაზეთიდან 60-ს ახდენს ...მანქანის ბორბლის დამბრუნებელს წა...მხდარს გაზეთები შინ მიაქვს.

გაზეთის ქალალდში, ნიკოლოზის ხუ...თასიანებს თხოულობენ.

გაზეთის დამტარებლები რედაქტორის ...ჯამაგირის რაოდენობას თხოულობს.

ხელის მომწერლებს არაფერი შემო...აქვთ.

ასე არის ქართული გაზეთების რედაქ...ციების საქმე, მაგრამ რევოლიუციონური ...სიცხე თანდათან მატულობს და ვინ იცის ...რედაქციები კი არა შეიძლება საქართვე...ლოს რესპუბლიკაც საბედისწეროთ დაკ...ბინოს იმ ბაცილებმა, რევოლიუციონურ...მა სიცხემ რომ წარმოშვა.

და ერთ დღეს ყველაფერი გადნება, ...როგორც შაქარი გადნა სასურსათო კო...მიტეტში თუ ის ვებერთელა მანქანა არ ...გამოიგონეს, რომელიც მთელს რესპუბ...ლიკას გააგრილებს.

როგორც გადმოგვცეს: ზომები უკვე ...მიღებულია.

შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც ...მანქანის გამოგონებისათვის კონკურსი ...უკვე დანიშნა.

ვინც ამ მანქანას გამოიგონებს, - მისი ...სურათი სახელი და გვარის წარწერით ...ჩამოკიდებულ იქნება ჟურნალ-გაზეთების ...კანტორა „იმერეთში" და ჯილდოთ მიე...ცემა ის თანხა, რომელიც ჩვენი რესპუბ...ლიკის შემოსავლიდან გასავალს აღემა...ტება.

კომისია იმედოვნებს: თუ ასეთი კაცი ...ჯერ არ გამოჩენილა, - ამ დღეებში მაინც ...დაიბადებაო.

დდება იმ ქალს, რომელიც ასეთ ...შვილს წარმოშობს.

ალკანდერ-ბეგ.

*) როდესაც ამ წერილს ვაწყობ ძალა უნებუ...რათ მეცინება, რომ მეფელეტონეს მართლაც არ ...ქონია არავითარი წარმოდგენა მუშებზე, და იმე...დია მკითხველიც დამეთანხმება ამაში.

**) მეტრამბაჟი წერილებს არ აწყობს, ის „სვერსკას" უშვება აწყობილებს, არც ეს სცოდ...ნია მეფელეტონეს.

ასოთ—ამწყობნი.

ჩრდილო-კავკასია.

გენ. დრაცენკოს ...ბა.

პეტროვსკში მოხალისეთა ...ა ...ეს შემდეგი ბრძანება: „მოხალისეთა ჯარი ...ოდესტანში სამტროდ კი არ მოსულა, ...არამედ მოვიდა წესრიგის დასამყარებლად ...და მიმოსვლის აღსადგენად.

...ეე ახსოვდეთ ბოროტ ხალხს და პრო...ვოკატორებს, რომ მოხალისეთა ჯარი ...არამც თუ არ შეავიწროებს თქვენს სარ...წმუნოებას, არამედ მთელი თავის ძალ...ონით შეებრძოლებიან შარიათის სი...წმინდის შემბიწველთ. მოხალისეთა ჯარი ...ვერ მოითმენს მხოლოდ ქურდობას და ...ავაზაკობას".

მოხალისენი და მთიულები.

როგორც ვიცით დღემდე მოხალისე...ებმა დაიპყრეს მხოლოდ ბარის საჩჩნო. ...რაც შეეხება მთიელ ჩეჩნებს ისინი ჯერ ...კიდევ იბრძვიან. ამას წინად მოსული ...ცნობის თანახმად ისევ მთელი საჩეჩნო ...აჯანყებულა. ჰასანიურტის მეცხოვნე ...ჯარი ჩეჩნებს გაუნადგურებიათ. პეტროვ...სკიდან მოხალისეებს ჯარი გაუგზავნიათ ...ჰასანიურტში.

მოხალისეთა ჯარი პეტროვსკაში.

პეტროვსკის რაზმის უფროსს გენ. დრა...ცენკოს დღემდე ჰყავდა 4000 კაცზე მეტი. ...დღეს კი პეტროვსკაში მხოლოდ 1500 ...კაცია. დანარჩენი გაიგზავნა საჩეჩნოში ...და თურანში.

აზერბეიჯანი.

რუსთა ეროვნული საბჭო მთავრობის ...თავმჯდომარესთან.

მაისის 2-ს აზერბეიჯანის პრემიერ მი...ნისტრმა მიიღო რუსთა ეროვნული საბ...ჭო მთელი თავის შემადგენლობით. აუ...დიენციამ გასტანა ერთ საათს.

მინისტრის ჩასვლა. მაისის 3-ს ბაქო...ში ჩავიდა აზერბაიჯანის საგარეო საქმე...თა მინისტრი მ. ჯაფაროვი. კავკასიის ...კონფერენციის მუშაობის მსვლელობის ...მოსახსენებლად.

250 მანეთიანი ბონები. მინისტრთა ...საბჭოს დადგენილებით ფინანსთა მინის...ტრი კიდევ შეუდგა 250 მანეთიან ბა...ქოს ბონების გამოშვებას.

ახალი მინისტრი. სახალხო განათლე...ბის მინისტრის ამხანაგად დანიშნულია ...მთიელთა მთავრობის სახალხო განათლე...ბის მინისტრად ნამყოფი ნუ მაჰმად-ბეგ ...შახ სუფაროვი.

მანიფაქტურის შესყიდვა. ვაჭრობა ...მრეწველობის მინისტრის ამხანაგი ალიე...ვი და დეპარტამენტის დირექტორი მაკის ...ხანი მანუფაქტურის შესასყიდად ბათომს ...გაემგზავრნენ.

სპარსეთი

სიკვდილით დასჯა. ქურთისტანიდან ...გაზეთი „გიულშანი" იტყობინება:

ქალაქ რეშტის პოლიციის უფროსის ...დირექტორის თანაშემწე სალიარარშაფი ...გუბერნატორის ბრძანებით დაატუსაღეს. ...მას აბრალებენ ქურთისტანის ყაჩაღებთან ...კავშირის დაჭერას.

ამას წინად იგი სიკვდილით დასაჯეს. ...ქალაქში და ქალაქს გარეთ სიწყნარეა.

ტყვე ჯერგოლელები. რამდენიმე ...დღეა რაც რეშედში ჩამოიყვანეს 200 ...ჯენგოლელი ტყვე. ტყვეებს იცავდა 2 ...ჯერ მეტი ყაზახების რაზმი.

ბახტიართა ხანების მოქმედება. თეი...რანში მიღებულ ცნობით ბახტიართა ...ხანები ბოლო დროს მეტად ავიწროებენ ...სპარსეთის მთავრობას, ადგენენ ყაჩაღთა ...რაზმებს და თავს ესხმიან მოსახლეობას. ...ყველა ამას მოსასპობად თეირანიდან ბა...ხტიარებთან მოსალაპარაკებლათ წავიდა ...მათ შორის სახელგანთქმული სარდარ აეა...დი და სარდარ მახტაშამი. ბახტირების ...მხრით აირჩიეს ზაფარი და მურთაზა ყუ...ლიხანი.

*) ამ კორფერენციამ აღიარა ჩვენი დამოუ...კიდებლობა.

დეპეშები.

საქ. დეპ. სააგენტო.

5 ივნისი.

ინგლისური პრესის ცნობები.

რუმინიის მთავრობამ საფრანგეთიდან გაიწვია გენ. რადენუ, რომელიც 1915—16 წ. საფრანგეთის მთავარ შტაბთან გამწესებულ რუმინიის სამხედრო მისიას სათავეში ედგა და შემდეგ კი მომარაგების და შეიარაღების მისიას უფროსობდა. რუმინია-საფრანგეთის სამხედრო ურთიერთობაში გენ. რადენუ დიდ როლს თამაშობდა.

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. 4 ივნისი **სარატოვი.** 2. ივნისი. დამშეულ გუბერნიებიდან დიდძალმა ლტოლვილებმა მოიყარეს თავი სარატოვის გუბერნიაში. ზოგიერთი მაზრები ისეა გავსებული ლტოლვილებით, რომ მოსულები ცის ქვეშა რჩებიან. სურსათზე ფასი საზღაპროდ გაძვირდა.

რიაჟსკი. 3 ივნისი. პარტახტიანი სახადის გავრცელების გამო სკოლები, თეატრები და კინემატოგრაფები დაიხურა.

ლვოვი. 3 ივნისი. პარტახტიანი სახადის ეპიდემიის გამო ლვოვში შესვლა აკრძალულია.

სამხედრო ცნობა. როვნოს ჩრდილო დასავლეთით მზვერავები მოქმედებენ. დუბნოს რაიონში. „მოწინააღმდეგე ეცადა სადგური რუდნია პსჩაევსკიასთან შემოეტია. ჩვენი ჯარი კოზინს უტევს. სადვერბას სამხრეთით იზიასლავთან ჩვენ ხელთ ვიგდეთ მტრის დაბლა დაწვებული 2 ჰაეროპლანი. დაბა ბულჩინეკოეს რაიონში, სტაროკონსტანტინოვსკას ჩრდილო დასავლეთით ბრძოლაა. ალმოსავლეთის მიმართულება. შავი კუნძულის ჩრდილო-დასავლეთით ბრძოლაა. ვოლიჩისკის რაიონში მოწინააღმდეგემ შემოგვიტია, მაგრამ უკუ ვაგდეთ.

ბესარაბიის ფრონტი. მტერი საჩქაროდ უკან იხევს ყიშინიოვისაკენ. მოწინააღმდეგის ეშელონებს ჩვენი ჯარი ზარბაზნებს უშენს. კერჩის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. გელეჩისკს (?) მიუახლოვდა მოწინააღმდეგის ნაღმოსანი, რომელმაც დროშის აფრიალებით ანიშნა, რომ მოლაპარაკება სურს, რის შემდეგაც ქალაქს ზარბაზნები დაუშინა. სულ ესროლა 107 ყუმბარა და ზღვაში დაიმალა. ფინიშის რაიონში სიწყნარეა.

კიევი, მაისის 31. დამრბევთა თარეშის შეწყვეტის შემდეგ პირდაპირი მიმოსვლა ოდესასა და კიევს შუა განახლდა.

რადომისლი, ივნისის 2. მაისის 31. სოფ. ჩაიკოვკა დავეჭირეთ. სოკოლოვკის ბრბოები სამი მხრით გარბიან. მათ წითელი ჯარი სდევნის. „კანევი ივნის. 2. ბუგურუსლანის და ბენდეროვის რაიონებში ბრძოლაა. დანარჩენ ადგილებში სიწყნარეა.

ხარკოვი. ივნისის. 31. ხარკოვის საბჭოს და მუშათა ორგანიზაციების შეერთებული სასწრაფო კრება შესდგა. სხდომაზე განიხილეს დონეცის ოლქის და საერთო მობილიზაციის საკითხი. თავდაცვის საბჭოს და პროფ. კავშირების წარმომადგენთა სიტყვების შემდეგ, რომელნიც ითუწოდებდენ მუშებს შეადგინონ რაზმები და დენიკინს დონეცის ოლქი ჩამოართვა. მემარცხენე ესერების წარმომადგენლებმა და მენშევიკებმა ილიპარაკეს, რომლებმაც მობილიზაციას დაუჭირეს მხარი, კომუნისტების რეზოლიუცია საერთო მობილიზაციის შესახებ 18 წლიდან 40 წლ. მიღებულ იქნა.

ოდესა. ივნისის 27. ჰდ, დნესტრზე საბჭოთა ჯარის გადასვლის დროს რუმინელები თავზარდაცემულნი გარბოდნენ ბესარაბიაში. ბევრი ფრანგის ჯარისკაცი წითელ ჯარისკაცენ გამორბოდა.

რუზაევკა. ივნისის 3. გლეხების მობილიზაცია მაზრაში დიდი აღფოთოვანებით ტარდება. მოდიან მოხალისეებიც. ჯარში გაწვეულნი ფრონტზე დიდძალმა ხალხმა გააცილა. ლიონი ივნისის 3. ორშაბათს სენ-ჟერმენში ავსტრიელებს საზავო ხელშეკრულების ტექსტი გადასცეს. კლემანსომ მათ განუცხადა, რომ სიტყვიერ მოლაპარაკებას ადგილი არ ექნება. პასუხი მათ 15 დღეშიუნდა წარმოადგინონ. პირობების შეცვლა უმთავრესად ლოიდ ჯორჯზეა დამოკიდებული. მრავალი ნიშანია იმისა, რომ შესაძლებელია პირობების შეცვლა, მიუხედავათ იმისა, რომ ფრანგები ამას ძალიან ეწინააღმდეგებიან. ეხლა ლოიდ ჯორჯი სცდილობს დაეყრდნოს ინგლისის ყველა იმ წრეებს, რომლებიც ამერიკელებთან ერთად შხარს უჭერენ ცვლილებებს. ფრანგები უკიდურეს პირობებს იცავენ. იტალია და იაპონია ყველაფერზე თანახმა იქნებიან, მაგრამ ყველაფერს ინგლისი, ამერიკა და საფრანგეთი გადაწყვეტს. მთავარი მნიშვნელობა იმას აქვს თუ ლოიდ ჯორჯი როგორ პოზიციას დაიჭერს. ლოიდ ჯორჯი ინგლისის მუშების ძალდატანების ქვეშ იმყოფება ცნობილია, რომ მან უკვე განიხილა ცვლილებათა შესაძლებლობის საკითხი. ყოველ შემთხვევაში ცვლილებები თუ მოხდა, შეეხება ხელშეკრულების წვრილმანებს.

ეროვნის წვრილი ერთეულების არჩევანები და ჩვენი კანდიდატები.

ქუთაისის მაზრაში ეროვნის წვრილი ერთეულების არჩევნები მოხდება კვირას 8 ივნისს. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არჩევნებში გამოდის №-2 ნომრით და სხვადასხვა თემებში ასახელებს შემდეგ კანდიდატებს.

მანდიკორის თემი:

1) სამსონ გიორგის ძე ყიფიანი
2 ნოე არჩილის ძე მხეიძე
3) სიმონ იოსების ძე იაშვილი
4) ნიკანდრი მაქსიმეს ძე ასათიანი
5) კონსტანე გიორგის ძე მორჩაძე
6) გიორგი რევიზის ძე როინიშვილი
7) კონდრატი სერგის ძე მხეიძე
8) ზალვა თეოფილეს ძე აბაშიძე
9) დიმიტრი სპირდონის ძე უგრეხელიძე
10) იოსებ თედორეს ძე ბუხარიძე
11) ხენიამენ ანდრიას ძე ხუციბერიძე

საწირის თემში

1) მაქსიმე ნიკოლოზის ძე კუბლაშვილი
2) პავლე ნიკოლოზის ძეკუბლაშვილი
3) გალაქტიონ კონსტ. ძე კოკელაძე
4) ამბაკო პორფილეს ძე ქარქაშიძე
5) იონა სამსონის ძე ქარქაშიძე
6) ერმილე ვასილის ძე ბოჭორიშვილი
7) არტემ ფილიფეს ძე ობოლაძე
8) გრიგოლ ივანეს ძე ობოლაძე
9) რაჟდენ დიმიტრის ძე ობოლაძე
10) სილოვან ბართლომეს ძე ფორჩხიძე
11) მელიტონ ნიკოლ. ძეკუბლაშვილი
12) კოსტა თომას ძე ცირეკიძე
13) კირილე ივანეს ძე ცქიფურიშვილი
14) სერგი ივანეს ძე ცირეკიძე
15) მაქსიმე გაბრიელის ძე სოფრომაძე
16) სარდიონ გაბრიელის ძე ჩხიკვაძე
17) ალექსანდრე პავლეს ძე ცირეკიძე
18) ფილიფე ლევანის ძე ცირეკიძე

ბოტრის თემი:

1) ალექსანდრე გიორგის ძე ერისთავი
2) ბესარიონ პავლეს ძე აბრომელაძე
3) აფრასიონ გიორგის ძე სანიკიანი
4) ვარდენ ნიკოს ძე ერისთავი
5) სერგეი გლახუას ძე გამრეკლიძე
6) ერმალო თეიმურაზის ძე ნიჟარაძე
7) ნოე დარისპანის ძე ვაშაყმაძე
8) ვარდენ ივანეს ძე ლომინაძე
9) გერმანე ბესარიონის ძე ადეიშვილი
10) დიმიტრი ესტატეს ძე ქარციძე
11) ერმალოზ ნიკოლოზის ძე ენუქიძე
12) ლევანტი მიხაილის ძე კოპალაძე
13) სარდიონ კონსტ. ძე ნიკოლეიშვილი
14) პარმენ ივლიანეს ძე ხუნდაძე
5) ივლიანე ტარიელის ძე დვალიშვილი
16) მახარობელ მერაბის ძე გაჩეჩილაძე
17) მიხაილ ვახტანგის ძე ქარჩხაძე
18) ნიკოლოზ ბეხუს ძე გოცირიძე
19) იუსტინე ივან. ძე კაპანაძე
02) ალექსანდრე პარ. ძე მებურიშვილი

კიკნაველეთის თემი:

1) ვასილ გიგოს ძე მაჭავარიან
2) სიმონ ი. საყვარელიძე
3) ნიკოლოზ სერ. კიკნაველიძე
4) კარპეზი ს. კიკნაველიძე
5) ვლადიმერ დავითის ძე კოხაძე
6) ივანე დიმიტრის ძე გუმბერიძე
7) ისიდორე იაკობის ძე გორგოძე
8) იორამ დიმიტრის ძე გუმბერიძე
9) დავით ს. ჯოხაძე
10) ტარასი თაბუკაშვილი
11) ლასონ ხირაქაძე
12) შაშიკო ერასტის ძე დოგრაშვილი
13) ილია დავითის ძე ლომსნიძე
14) კირილე ს. კიკნაველიძე

დვალიშვილების თემში:

1) ლორთქიფანიძე ალექ. ვლასას ძე
2) ჩიჯავაძე რაფიელ ანტონის ძე
3) აბრამიძე ბიქტორ სპირდონის ძე
4) ჩიკვაშვილი შალომ ისხაკის ძე

სვირის თემში:

1) გიორგი ალექსის ძე კაკაურიძე
2) ვარლამ მელიტონის ძე ლომინაშვილი
3) ლარვენტი კონსტანტინეს ძეცხადაძე
4) დომენტი გიორგის ძე დეკანოსიძე
5) არქიფო გიორგის ძე ლომინაშვილი
6) ვანო სპირდონის ძე კაპანაძე
7) რომანოზ ივანეს ძე დეკანოსიძე
8) ბიქტორ ალფეზის ძე გიორგაძე
9) დომენტი პეტრეს ძე ჩხიკვაძე
10) ვასილ ლაზარეს ძე სულაქველიძე
11) კირილე გიორგის ძე ბოჭორიშვილი
12) ილია ბესარიონის ძე ნიქაბაძე
13) მიხა პეტრეს ძე ჩხიკვაძე
14) მარკოზ ივანეს ძე კაკაურიძე
15) მიხაილ მაკუკას ძე გიორგაძე
16) ვლადიმერ ლუკას ძე წაქაძე

ზეკარის თემში

1) გიორგი მოსეს ძე ტაბეშიძე
2) ივანე იაკობის ძე ტაბეშიძე
3) სერგო სპირიდონის ძე გელხუიძე
4) ფილიმონ ივანეს ძე გიორგიძე
5) მიხეილ ქრისტეფორეს ძე გიორგიძე
6) ონისიმე ლუკას ძე სხვილიძე
7) ვარლამ ილარიონის ძე დემეტრიძე
8) გიორგი თომას ძე დემეტრიძე
9) საულე ზალიკას ძე ლომსიანიძე
10) ისიდორე მ. გორგოძე
11) მიხეილ იორამეს ძე მინაძე
12) ვალოდი იაკობის ძე გელხუიძე
13) ილია ივანეს ძე გიორგიძე
14) გიორგი სიმონის ძე ლომსიანიძე
15) სტეფანე ოქროპილის ძე ენდელაძე

სიმონეთის თემში:

1) აბულაძე ასლან გიორგის ძე
2) არაბიძე ამბაკო ბასილას ძე
3) ბარათაშვილი დომაქსი დარისპანის ძე
4) მაჩიტაძე დავით სპირდონის ძე
5) ღვინეფაძე ვალერიან იაკოს ძე
6) ნიკოლაძე ვასილ ლევანის ძე
7) სულამანიძე თეიმურაზ გრიგოლის ძე
8) ბრეგვაძე ილარიონ მაქსიმეს ძე
9) ბარდაველიძე ერმილო კოსტ. ძე
10) ბოგვერაძე ნიკოლოზ ერმინეს ძე
11) მაჩიტაძე პარმენ ალექსის ძე
12) ჩიხლაძე პავლე ნიკოლოზის ძე
13) კრავიშვილი ბაგრატ ისიდორეს ძე
14) კრავიშვილი ივანე ნიკოლოზის ძე
15) ლომთაძე ილია რევაზის ძე
16) ბარდაველიძე მელქისედეკ კონსტ. ძე
17) აბჟანდაძე ოიველ გერასიმეს ძე
18) ავალიანი ელიზბარ კონსტანტ. ძე
19) კრაკიშვილი კონსტ. ფარსადანის ძე
20) სულამანიძე იორამ ლუკას ძე

საყულიის თემში:

1) გიორგი ბიჭიას ძე ველიაშვილი
2) ნოე ხახულის ძე ლალიაშვილი
3) გიგო იაკობის ძე მარგველაშვილი
4) ნიკოლოზ ხახულის ძე ლალიაშვილი
5) ნესტორ ეტიფანეს ძე ნიჟარაძე
6) ტარასი მოსეს ძე სანებლიძე
7) ასლან დავითის ძე ნიჟარაძე
8) ილარიონ კაპანაძე
9) ივანე აბდალაძე
10) კოსტა [illegible]
11) ვასილ ხ[illegible]
12) კალისტრატე ნიკოლ. ძე [illegible]
13) სტეფანე დიმიტ. ძე მარგველა[illegible]
14) ეფრემ ლაზარეს ძე დეისაძე
15) პარმენ არჩილის ძე ნიჟარაძე

მაღლაკის თემში.

1) ბიბილეიშვილი ვასილ სპირდონ[illegible]
2) ხაზარაძე ლონგინოზ ლუკას ძ[illegible]
3) ნიჟარაძე კონსტანტინე დიმიტ[illegible]
4) გოგისვანიძე აპალონ მელიტონ[illegible]
5) ხაზარაძე ისიდორე გიორგის ძ[illegible]
6) დოლაბერიძე თედორე კაცას ძ[illegible]
7) ნიჟარაძე იულონ პაატას ძე
8) ჩეჩელაშვილი ივანე სიმონის ძ[illegible]
9) ფაჩუაშვილი პავლე ოქროპი[illegible]ის
10) მარდალეიშვილი ლუკა ლაზარ[illegible]
11) კოსტავა ონისიმე გიორგის ძ[illegible]
12) მარდალეიშვილი ექვთიმე ფირან[illegible]
13) ჟორჟოლიანი მაქსიმე მიხეილის [illegible]
14) დეისაძე სიმონ პავლეს ძე
15) ქვაჩაკიძე ლუკა
16) ჯაოხაძე ბიქტორ ლევანის ძე
17) ლექვინაძე ბეგლარ ვასილის ძ[illegible]
18) ჟორჟოლიანი ივანე დიმიტრის ძ[illegible]
19) ჯაოხაძე თეოფილე ბეჟანის ძ[illegible]
20) გოგისვანიძე პარმენ ივანეს ძ[illegible]

ოფუჩხეთის თემში:

1) კირილე დავითის ძე ავალიანი
2) ერასტი ასათიანი
3) სპირდონ ჯიშკარიანი
4) გიორგი ჯიშკარიანი
5) ლევან მელქაძე
6) ევგენ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძ[illegible]
7) შალიკო ალხაზაშვილი
8) ილაკრი ალხაზაშვილი
9) ილია სამსონის ძე ავალიანი
10] ვარდენ პეტრეს ძე დანგაძე
11) ალექსანდრე ლორთქიფანიძე
12) ილარიონ ბასილის ძე ჯიშკარიანი
13) დავით ნესტორის ძე კანდელაკი
14) ლუკა აბაზაძე
15) ზოსიმე აბაზაძე
16) არსენ წიწალაშვილი
17) გერმანე აბაზაძე

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში, შემდეგ

გიორგი ნიჟარაძემ, ხორცით მოვა[illegible] რეთა კავშირის წევრმა, როდესაც მ[illegible] თან მიიქცა კავშირის გამგეობა თხოვნ[illegible] რომ მას მიეღო მონაწილეობა დამწუ[illegible] რებულის კავშირის წევრის ივანე ცან[illegible] ვას შვილის გარდაცვლის გამო, მა[illegible] ნიჟარაძემ, თანაგრძნობის მაგიერ, უ[illegible] ერის სიტყვებით საქვეყნოთ მოიხსენ[illegible] თვით კავშირი და შერცხვენა შეუთვალ[illegible] მთელს კავშირს, რასაც კავშირის გამგ[illegible] ობა ვალათ სთვლის საქვეყნოთ გამოაცხ[illegible] დოს ნიჟარაძის შეუფერებელი მოქცევ[illegible]

კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ი. **მესხი.**

წევრი **ვასილ ფურცხვანიძე.**

ღია წერილი.

გაზ. „საქართველოს."

„საქართველოს" მე 114 ნომერში მოთავსებული იყო ცნობა რომ „სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ი. გოგოლაშვილი, რომელსაც 30.000 მანეთის სახაზინო ნივთების მოპარვა ბრალდებოო".

რომ საზოგადოებას ხსენებული ი. გოგოლაშვილი მე არ ვეგონო, გთხოვთ ერთხელ კიდევ გაზეთის საშვალებით გამოაქვეყნოთ სახელი და მამის სახელი ხსენებული გოგოლაშვილისა.

პატივისცემით ისმაილ პავლეს ძე გოგოლაშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

წრეფლმბეჭდავი „ძმობა" ბუშკინის ქუჩა სახლი [illegible]